ღია საზოგადოების ფონდი

POLICY brief

უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები – საერთაშორისო მიმოხილვა

სერია #2, ნოემბერი,2019, თბილისი

თინა ყიფშიძე

წლების მანძილზე, უსახლკარობა არაღიარებული პრობლემას წარმოადგენდა საქართველოში. ღია საზოგადოების ფონდის ეგიდით ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ უსახლკარობასთან ბრძოლის სისტემური ხედვის არარსებობის პირობებში, საცხოვრისის მუნიციპალური სერვისები სუსტ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. 2019 წლის მაისში, ღია საზოგადოების ფონდმა საქართველოს 6 მუნიციპალიტეტისგან საცხოვრისის სერვისებისა და მოქალაქეთა მიმართვიანობის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა. ამან შექმნა ბაზა პოლიტიკის დოკუმენტებისათვის, რომელიც უსახლკარობისა და საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებს მიმოიხილავს.

უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სერვისების ადგილი სოციალური დაცვის სისტემაში

საბინაო პოლიტიკა და უფლება საცხოვრისზე ისტორიულად სოციალური დაცვის სისტემის ყველაზე ჩამორჩენილი სფერო იყო (Torgersen, 1987). 1990-იანი წლებიდან ეს მდგომარეობა ნელნელა შეიცვალა და უსახლკარობა მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემად აღიარეს, ხოლო უსახლკარობის მთავარ მიზეზად სტრუქტურული ასპექტები - შრომის ბაზრის დრამატული ცვლილებები და სოციალური პოლიტიკის სისუსტე დასახელდა (Hopper, Susser & Conover, 1985, Burt, 1997, Loopstra, 2015). კეთილდღეობის განვითარებული სისტემების მქონე სახელმწიფოებში თანდათან გაძლიერდა ისეთი სოციალური პოლიტიკა, რომელშიც საცხოვრისის მიმართ უფლებრივი მიდგომისა და საცხოვრისის უწინარესად გარანტირების (Housing First) კონცეფციებია მთავარი. საცხოვრისი, როგორც ადამიანის ფუნდამენტური უფლება, მოქალაქისათვის უმაღლესი საკანონმდებლო აქტების დონეზე უნდა იყოს გარანტირებული, ხოლო უფლების განხორციელება ქვეყნის პოლიტიკური ხედვის დოკუმენტის - სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების საფუძველზე უნდა მოხდეს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, სხვადასხვა ქვეყნის წარმატებული სტრატეგიის მაგალითზე, მიმოიხილოს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და მათი დაგეგმვისა და განხორციელების პრინციპები. აღნიშნული საკითხების სიღრმისეული გაგება კი მსოფლიოში დამკვიდრებული სოციალური დაცვის სისტემების და მათი საფუძვლების ანალიზის შედეგად წარმოგვიდგენია. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, უსახლკარობის მასშტაბი და მიზეზები მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალური სისტემის ტიპთან.კერძოდ, რაც უფრო მწირია სოციალური დაცვის სისტემა და სერვისები და რაც უფრო სუსტია სახელმწიფოს მონაწილეობა კეთილდღეობის სისტემების ხელშეწყობაში, მით უფრო მაღალია უსახლკარობის მასშტაბი. ნაკლებად განვითარებულ კეთილდღეობის სისტემაში უსახლკარობას ძირითადად სტრუტურული ფაქტორები (საბინაო და შრომის ბაზრის რეგულირების არარსებობა, სუსტად განვითარებული სოციალური დაცვის სერვისები) განაპირობებს, რომლებიც მიუსაფრობის საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ფართო ფენებს, შეუქცევადად ზრდის პრობლემის მასშტაბებს და ართულებს მათ მოგვარებას (Stephen & Fitzpatrick, 2007).

სხვადასხვა ტიპის სოციალური დაცვის სისტემაში, მოქალაქის კეთილდღეობის მთავარ გარანტორად სხვადასხვა ფაქტორია მიჩნეული. სახელმწიფოს, ბაზრისა და ოჯახის ურთიერთმიმართების საფუძველზე,

CONTACT@OSGF.GE

ასევე, სახელმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობაზე, სიღარიბის აღმოფხვრასა და ზოგადი უთანასწორობის შემცირებაზე აღებული პასუხისმგებლობის გათვალისწინებით (Esping-Andersen, 2007), სოციალური დაცვის სამი ძირითადი სისტემის გამოყოფა შეიძლება - ლიბერალურის, კონტინენტურისა და სოციალ-დემოკრატიულის.[1]

ლიბერალურ სისტემაში სახელმწიფო მინიმალურად ერევა მოქალაქეთა სოციალური საჭიროებების მოგვარებაში. მიიჩნევა, რომ მოქალაქემ, შრომის ბაზრის მეშვეობით, თავად უნდა გადაჭრას კეთილდღეობასთან დაკავშირებული საყოფაცხოვრებო საკითხები, იზრუნოს ცხოვრებისეული რისკების დასაზღვევად, შემოსავლის დაკარგვისა და სიღარიბისგან თავის დაცვის, განათლების ან ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფო მხოლოდ მაშინ აქტიურდება, როდესაც მოქალაქის მცდელობა - შრომის ბაზრიდან მიღებული შემოსავლით უზრუნველყოს საკუთარი კეთილდღეობა - უშედეგოა. ამ სისტემაში უმთავრესად მიზნობრივი სოციალური სერვისები გვხვდება, რომლებიც რეაგირებითი ხასიათისაა. ლიბერალური სისტემის მთავარი ნაკლი უთანასწორობის ზრდაა; დიდია სამუშაო ძალის ცვლა, უმუშევრობის რისკი, სიღარიბისა და უთანასწორობისადმი მოწყვლადობა (Esping-Andersen, 1990, 2002, Esping-Andersen, & Myles, 2007).[2] ლიბერალურ სისტემაში უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისის არქონის პრობლემა მწვავეა. სიღარიბისა და უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლის, მოსახლეობის დიდი ნაწილის სოციალური გარიყულობისა და სტრუქტურული მიზეზების (ეკონომიკური კრიზისი, სოციალური სისტემის სისუსტე აშ.) გამო ამგვარი სისტემის ქვეყნები ვერ ახერხებენ უსახლკარობის პრობლემასთან ეფექტურად გამკლავებას. ლიბერალური სისტემის ქვეყნებია: ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, შვეიცარია და ახალი ზელანდია.

კონტიტენტურ სისტემაში კეთილდღეობის სერვისები დაფუძნებულია სოციალური დაზღვევის ფონდებზე,[3] რომელში ჩართვაც ყველა დასაქმებულისათვის სავალდებულოა. დაზღვევის ფონდები უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის ძირითადი სოციალური სერვისების - ჯანდაცვის, საპენსიო უზრუნველყოფის, ავადმყოფობის დაზღვევის, უმუშევრობის დახმარების, ან სამსახურეობრივი ტრამვის დროს შესაბამისი დახმარებების - მიწოდებას. ისტორიული განვითარებისას ჩამოყალიბებული თავისებურებების[4] გამო, ასეთი სისტემის მქონე ქვეყნებში მაღალია ქალთა სოციალური მოწყვლადობა. პრობლემაა აუნაზღაურებელი საშინაო შრომა, ქალთა სპეციფიკური საჭიროებების გაუთვალისწინებლობა, დედობისა და დასაქმების შესათავსებლად საჭირო სერვისების ნაკლებობა.[5] კონტინენტურ მოდელში სოციალური დახმარებებისა და სერვისების მასშტაბი დასაქმების ტიპსა და შემოსავლის ოდენობაზეა დამოკიდებული.[6] შედეგად, არასტაბილურად ან დაბალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებული მოქალაქეები და უმუშევრები სიღარიბისა და უსახლკარობისადმი მაღალი რისკის შემცველ ჯგუფს წარმოადგენენ (von Mahs, 2001). კონტინენტურ სისტემას მიეკუთვნება გერმანია, ავტრია, ბელგია, საფრანგეთი და იტალია.

სოციალურ-დემოკრატიული სისტემა ხასიათდება უნივერსალისტური მიდგომითა და მოქალაქეთათვის სოციალური უფლებების ფართო სპექტრის უზრუნველყოფით. ამგვარი სოციალური პოლიტიკის გაცხადებული მიზანია ყველა მოქალაქისათვის თანაბარი სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ამ სოციალური პოლიტიკის უნიკალურობა[7] გამოიხატება კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული იმ პასუხისმგებლობის სახელმწიფოზე გადატანაში, რომელიც, ტრადიციულად, ოჯახის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. ბავშვთა, მოხუცთა, ავადმყოფთა და გაჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახის წევრთა მოვლის ვალდებულებებს ასეთი სისტემის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო კისრულობს და ამ ვალდებულების შესასრულებლად შესაბამის სოციალურ სერვისებზე საბიუჯეტო ხარჯების ყველაზე დიდი ნაწილის კონცენტრირებას ახდენს. სოციალური პოლიტიკა შრომის ბაზრის განვითარების შესაბამისად იგეგმება, მკაცრად რეგულირდება მუშახელის დაქირავების, განთავისუფლებისა და სახელფასო პოლიტიკის საკითხები, ინტენსიურად წესრიგდება დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების, მდგრადი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის საკითხები (Esping-Andersen, 1990, 2002, Esping-Andersen, & Myles, 2007). ასეთი სისტემის ქვეყნებს, უთანაწორობისა და სიღარიბის დაბალი დონის შესაბამისად, უსახლკარობის დაბალი მაჩვენებელი ახასიათებს (McFate et.al., 1995; Jantti & Danziger, 2000; Smeeding, 2005, Jacques & Noël, 2018). მათში მოსახლეობას რადიკალური სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების ნეგატიური გავლენისგან სოციალური დაცვის ძლიერი სისტემა იფარავს, უსახლკარობა უმცირესობის ხვედრია (FEANTSA, 2007a, Stephens and Fitzpatrick, 2007). სოციალ-დემოკრატიული სისტემა მოქმედებს

შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, ნიდერლანდებსა და ფინეთში.

უსახლკარობის პრობლემის გრძელვადიანი და მდგრადი გადაჭრის მნიშვნელოვანი გარანტი ქვეყანაში ძლიერი სოციალური კეთილდღეობის სისტემაა, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს პასუხისმგებლობას, უზრუნველყოს მოქალაქეთა ყოფის გაუმჯობესება და განსაზღვროს ეფექტური, საჭიროებებზე ორიენტირებული საცხოვრისის სერვისები, რომლებიც უთანასწორობის, ხანგრძლივ პერსპექტივაში კი - უსახლკარობის, აღმოფხვრის მყარი საფუძველი უნდა გახდეს.

1. უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია

უსახლკარობასთან ბრძოლის დაგეგმვა და სტრატეგიის შემუშავება ქვეყნის სოციალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. უსახლკარობის აღმოფხვრის პოლიტიკა და მასში ინტეგრირებული სერვისების ტიპები, სახელმწიფოს იდეოლოგიური და პოლიტიკური დეკლარაციების მიღმა, ადამიანის უფლებების სტანდარტების აღიარებასა და მათ დაცვასთანაა დაკავშირებული. სოციალური მეცნიერების მკვლევართა შორის კამათს აღარ იწვევს ის საკითხი, რომ სიღარიბისა და უთანასწორობის შედეგებთან ბრძოლა ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე დაფუძნებული, ეფექტური სერვისების სტრატეგიის დოკუმენტში ასახვითა და მათი განხორციელებითაა შესაძლებელი.

ამჟამად ქვეყნების უმრავლესობა უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგიებს „საცხოვრისი უწინარესად“ მიდგომაზე აფუძნებს, რომელიც ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად მისი საცხოვრისის სერვისებით დაუყოვნებელ და უპირობო უზრუნველყოფას გულისხმობს. სხვადასხვა ტიპის ადიქციის დამარცხების, სამუშაოს დაწყების და სხვა პირობების დაკმაყოფილება აღარ წარმოადგენს საცხოვრისით უზრუნველყოფის წინაპირობას. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბენეფიციარის საცხოვრისით უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს ადიქციის, სოციალური ან სხვა ტიპის პრობლემების მიუხედავად (Aubry, Bernad & Greenwood 2018), შესაბამისი სერვისების საცხოვრებელში განსახლებისთანავე მათი გადაჭრის უზრუნველყოფის პირობით.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უსახლკარობის მრავალგანზომილებიანობის და უსახლკარო ჯგუფების მრავალფეროვნების გათვალისწინებას (Minnery & Greenhalgh, 2007, FEANTSA, 2010a, 2010b). უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგია უნდა დაეფუძნოს უსახლკარობის ცნების მკაფიო განსაზღვრას და მისი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ ანალიზს.

1.1. უსახკლარო პირის ცნება

უსახლკარობის აღმოფხვრის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უსახლკარობის ცნების განსაზღვრას, რამდენადაც სწორედ ცნების მკაფიო განმარტებით ხდება შესაძლებელი დადგინდეს, მიუსაფართა რა ტიპის საჭიროებებს უნდა დააფუძნოს სახელმწიფომ შესაბამისი სერვისები. ამჟამად სხვადასხვა ქვეყანაში, უსახლკარობის ერთიანი, უნიფიცირებული განსაზღვრება არ არსებობს. განსაზღვრების ცვლილებასთან ერთად იცვლება იმ ჯგუფთა სპექტრი, რომელსაც სახელმწიფო უსახლკაროდ მიიჩნევს. გერმანიაში უსახლკაროს ცნება საცხოვრისზე სამართლებრივი განზომილების მიუწვდომლობას ეფუძნება (Busch-Geertsema & Fitzpatrick, 2008); მაშინ, როდესაც ბრიტანეთში უსახლკაროში იგულისხმობა პირი, რომელსაც ხელი არ მიუწვდება საცხოვრისის სამართლებრივ, ფიზიკურ, ან სოციალურ განზომილებებზე (საბინაო აქტი 1996, ნაწილი VII); უსახლკაროდ მიიჩნევა ასევე თავშესაფრის დაკარგვის მაღალი რისკის წინაშე მყოფი პირები. უსახლკარო პირის განსაზღვრებას ფართო მნიშვნელობა აქვს ფინეთშიც. გარდა იმისა, რომ აღიარებს უსახლკარობის როგორც სამართლებრივ, ისე სოციალურ და ფიზიკურ განზომილებას, ფინური მოდელი ითვალისწინებს უსახლკარობის ფარულ ფორმებსაც. მაგალითად, ფინური მოდელის თანახმად, უსახლკაროა პირი ან ოჯახი, რომელიც ნათესავთან ან მეგობართან ცხოვრობს და არ გააჩნია გარანტირებული საცხოვრებელი. სწორედ იმიტომ, რომ უსახლკარობის აღიარებულ მრავალ ფორმას დაეფუძნა საცხოვრისის სტრატეგიაში განსაზღვრული სერვისები (Pleace, 2017, Pleace & Knutagård, 2016) 2008-დან 2015 წლამდე ფინეთშიუსახლკარობის დონე 35%-ით შემცირდა (World Economic Forum; “How Finlad is Tackling Homelessnes” Apr, 2019).

1.2. უსახლკარობის მიზეზების კვლევისა და მონაცემების შეგროვება

სტრატეგიის დაგეგმვაში გასათვალისწინებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი უსახლკარობის მიზეზების კვლევაა.[8] უსახლკაროთა თემაზე მომუშავე

სახელმწიფო ორგანიზაციების ასოციაცია (FEANTSA) აღნიშნავს, რომ უსახლკარობის პრობლემის გადაჭრა აუცილებლად საჭიროებს კომპლექსურ კვლევას უსახლკარობის მიზეზების დასადგენად. გამოცდილება აჩვენებს, რომ შრომის ბაზრის დრამატული ცვლილება, მასობრივი უმუშევრობა, სიღარიბე, უთანასწორობა და კეთილდღეობის პოლიტიკის არქონა ძირითადად ის სტრუქტურული მიზეზებია, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ასეთი გარემოს მიმართ გარკვეული ჯგუფების მაღალი მოწყვლადობის გამო (ჯანმრთელობის არასახარბიელო პირობების, განათლებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობის, სოციალური და ოჯახური კავშირების ნაკლებობის შემთხვევებში), მათ უსახლკარობას იწვევს (FEANTSA, 2010a).[9] გარდა აღნიშნულისა, უსახლკარობის რისკი შეიძლება დაკავშირებული იყოს ქირის გადახდის შეუძლებლობასთან, ოჯახურ კონფლიქტებთან, არასათანადო პირობებში ცხოვრებასთან, მატერიალური და არამატერიალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის პრობლემასთან და ა.შ. (FEANTSA, 2010a) შესაბამისად, საჭიროა ამგვარი მონაცემების ყოველწლიური შეგროვება კონკრეტული სახელმწიფოების კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უსახლკარობის ინდივიდუალურ და დევიაციურ პრობლემად შეფასების ნაცვლად რისკ ჯგუფების იდენტიფიცირებისა და უსახლკარობის მიზეზების რეალური ანალიზის საშუალებას გააჩენს (O'Sullivan, 2008; Busch-Geertsema et al., 2010; Lee et al., 2010).

2. უსახლკარობის პრევენციული სერვისები

უსახლკარობა მრავალგანზომილებიანი პრობლემაა. არ არსებობს ერთი კონკრეტული სერვისი, რომელიც უსახლკარობის საფრთხეს აღმოფხვრის. შესაბამისად უსახლკარობის მიზეზების იდენტიფიცირების შემდეგ, მათთან გამკლავებისათვის, ამ მიზეზებსა და უსახლკარო პირთა საჭიროებებზე მისადაგებული მრავალფეროვანი პრევენციული სერვისების შემუშავება ხდება საჭირო (Culhane, Metraux &Byrne, 2011). უსახლკარობის აღმოფხვრის თანამედროვე მიდგომა აქცენტს მის პრევენციაზე აკეთებს (FEANTSA, 2010a, 2010b). პრევენციაზე დაფუძნებული სოციალური სერვისების მოდელში ყურადღება უსახლკარობის რისკების იდენტიფიცირებასა და სათემო სერვისების განვითარებაზეა გამახვილებული. შესაბამისად, ამ მოდელის მიზანი არსებული საცხოვრებელი სივრცის შენარჩუნება და ცხოვრების სტაბილიზებაა, რათა ჯერ კიდევ უსახლკარობის რისკის წინაშე მყოფი პირის სათანადო რესოციალიზაცია განხორციელდეს (Culhane, Metraux &Byrne, 2011). პრევენციაზე დაფუძნებული ინტერვენცია არამარტო კონკრეტულად უსახლკარობის აცილებაზე მიმართულ სერვისებს მოიცავს, არამედ, დიდწილად, უსახლკარობის სტრატეგიაში უკვე არსებული სოციალური სერვისების აქტიურ ჩართვას გულისხმობს. ხშირად, უსახლკარობის პრევენციული სერვისები სიღარიბისა თუ ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ არსებული სოციალური დაცვის სისტემის ნაწილია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსახლკარო ადამიანების არსებული სოციალური სერვისებიდან გარიყვის გამოსარიცხად. მაგალითად, გერმანიაში ბავშვთა კეთილდღეობის სააგენტოს ძირითადი ფუნქცია მოზარდის სწორ ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა და ამისათვის საჭირო ოჯახური სივრცის უზრუნველყოფაა. იმ შემთხვევაში, როდესაც ფინანსური რესურსების სიმწირის გამო, თავად ოჯახი მოზარდის სწორად განვითარებისათვის საჭირო გარემოს შემქნას ვერ ახერხებს, სააგენტო უზრუნველყოფს ოჯახისთვის შესაბამისი ფინანსური დახმარების გაწევას, ოჯახის წევრისათვის სტაბილური სამსახურის მოძებნას და არასრულწლოვანის პოტენციური უსახლკარობის თავიდან აცილებას (Busch-Geertsema & Fitzpatrick 2007).

უსახლკარობის პრევენციის საუკეთესო პრაქტიკა უსახლკარო პირთა ყოფაში ოთხი ტიპის ინტერვენციას მოიცავს: პირველად ინტერვენციას, ადრეულ ინტერვენციას, კრიზისის პროცესში ინტერვენციასა და გრძელვადიან დახმარების სისტემებს უსახლკარობის რეციდივის თავიდან ასაცილებლად (Minnery & Greenhalgh, 2007, Busch-Geertsema & Fitzpatrick 2007, Busch-Geertsema et al., 2010). ექსპერტები ასევე გამოყოფენ პრევენციის სამ დონეს. ესენია: პირველადი, მეორადი და მესამე დონის იგივე პოსტ-კრიზისული პრევენცია (Busch-Geertsema & Fitzpatrick 2007, Culhane, Metraux &Byrne, 2011).

• პირველადი პრევენცია- მოიცავს პირველადი ინტერვენციის ღონისძიებებსა და პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მოსახლეობაში უსახლკარობის ზოგადი რისკის შემცირებისაკენ. ამ დონეზე მთავარი მიზანია ცხოვრებისეული რისკებისგან დაზღვევა, მათ შორის, შრომის ბაზრის რეგულირება, კეთილდღეობის ეფექტური სისტემების განვითარება, საბინაო პოლიტიკის დაგეგმვა და სხვა. წარმატებული პირველადი პრევენცია გულისხმობს ფართო კეთილდღეობის სისტემის არსებობას, რომელიც ქვეყნის მოსახლეობას გაუთვალისწინებელი ცხოვრებისეული მოვლენებისგან ეფექტურად იცავს. კეთილდღეობის ასეთი სისტემა უზრუნველყოფს ბენეფიციარის სოციალური მდგომარეობისა და ღირსეული ცხოვრების პირობების შენარჩუნებას, ეკონომიკური, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის საჭირო პერიოდის განმავლობაში.

• მეორადი პრევენციის დონეზე აქტიურდება ადრეული ინტერვენციები, რომლებიც მიმართულია კონკრეტულად უსახლკარობის მაღალი რისკის მქონე მოსახლეობაზე. როგორიცაა, მაგალითად, დაბალშემოსავლიანი მუშახელი, ადამიანები, რომლებიც ტოვებენ ინსტიტუციებს, ან იმგვარ კრიზისულ სიტუაციაში (პოტენციური გამოსახლება, განქორწინება, სამსახურის დაკარგვა) იმყოფებიან, რომელმაც მომავალში, შესაძლოა, უსახლკარობა გამოიწვიოს. უსახლკარობის მიზნობრივი პრევენციული სერვისები უმეტესად ამ ეტაპზე გამოიყენება და შესაბამის სამიზნე ჯგუფს მიეწოდება;

• მესამე დონის/პოსტკრიზისული პრევენცია მოიცავს კრიზისის პროცესში ინტერვენციასა და გრძელვადიანი დახმარების ღონისძიებებს, რომლებიც უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების მხარდაჭერაზეა მიმართული. ამ აზრით, ის შესაძლოა უფრო რეაქციული იყოს, ვიდრე პრევენციული. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიასა და ინგლისში, ასეთ ღონისძიებებს „დაბინავებას“ უწოდებენ. ამ ეტაპზე პრევენცია ადამიანის უსახლკარობის შეწყვეტასა და უსახლკარობის რეციდივის თავიდან აცილებაზეა მიმართული. მეორადი პრევენციის მსგავსად, განმეორებითი უსახლკარობის რისკის არსებობის შემთხვევაში, უსახლკარობის მიზნობრივი სერვისები ამ დონეზეც გამოიყენება.

უსახლკარობის პრევენციული სერვისები დამოუკიდებლად ცხოვრების, სახლსა და საკუთარ თავზე ზრუნვის უნარის გამომუშავების გარდა მოიცავს შესაბამისი სოციალური და ეკონომიკური დახმარების სისტემებს, რომლებიც ადამიანს მატერიალური თუ მენტალური საჭიროების დაუკმაყოფილებლობით გამოწვეული უსახლკარობისაგან იცავს. პრევენციული მიზნობრივი სერვისები ასევე მოიცავს იმ ჯგუფების საჭიროების დაკმაყოფილებასაც, რომლებმაც მალე უნდა დატოვონ ინსტიტუციები (ფსიქიატრიული დაწესებულებები, ციხეები, ახალგაზრდათა სოციალური სისტემები) (Pleace & Knutagård, 2016). ფინეთის, ბრიტანეთისა და გერმანიის მაგალითზე უსახლკარობის პრევენციის ყველაზე გავრცელებული სერვისებია (Busch-Geertsema & Fitzpatrick, 2008, Pleace & Knutagård, 2016, Pleace, 2017):

• ინტენსიური საბინაო კონსულტაცია გულისხმობს მუნიციპალიტეტის თანამშრომლის - საბინაო მრჩეველის მიერ არსებული სერვისებიდან შესაბამისის (მათ შორის საცხოვრისის სერვისის) მოძიებას და საჭიროების წინაშე მყოფი პირისათვის შეთავაზებას, ასევე, ყველა საჭირო ტიპის კონსულტაციის გაწევას, რომ მოიჯარეს სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონდეს მისი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ და საცხოვრებლის დაკარგვის საფრთხის შემთხვევაში იცოდეს, რომელ უწყებას უნდა მიმართოს დახმარებისათვის;

• ქირის გადახდასთან დაკავშირებული სქემები- ამ სერვისის მიზანია, კერძო საცხოვრებლის მისაწვდომობის გაზრდა, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელის ჩართულობით ბინის მესაკუთრესა და დამქირავებელს შორის ქირის გადახდის მოქნილი გრაფიკისა და სტრუქტურის შემუშავება, დამქირავებელსა და ბინის მეპატრონეს შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ბინის ქირისათვის საჭირო დაფინანსების მოძიებაში დახმარება, ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ასეთი თანხების გაცემა;

• ოჯახური დავის მედიაცია მსგავსი პროგრამების მიზანია ახალგაზრდების უსახლკარობის თავიდან აცილება მშობლებს და შვილებს შორის ურთიერთობის დარეგულირების გზით. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მშობლიური სახლიდან ახალგაზრდის გამოსახლების პრევენცია და ოჯახურ რესურსებზე ახალგაზრდების წვდომის გაძლიერება. ამგვარი სერვისები ადმინისტრირდება შესაბამისი სოციალური სააგენტოს მიერ. ოჯახის წევრებს შორის დაძაბულობის არსებობის შემთხვევაში სააგენტო გამოყოფს მედიაციისათვის საჭირო კვალიფიკაციის მქონე სოციალურ მუშაკს, რომლის ფუნქციაც კონფლიქტური საკითხის განხილვისას ოჯახის ყველა წევრის ჩართულობით მსჯელობის პროცესის სათანადოდ წარმართვა და ყველასათვის მართებული გადაწყვეტილების მიღებაა. მედიაციის მიზანია, რომ ოჯახის არასრულწლოვანმა ან ახალგაზრდა წევრმა, რომელსაც ჯერ დამოუკიდებლად ცხოვრების სახსრები არ გააჩნია, მშობლიურ სახლზე წვდომა არ დაკარგოს. ამასთან, უწყება მეთვალყურეობს უმცროსი წევრების მიერ ოჯახის მატერიალურ და საბინაო რესურსებზე სათანადო წვდომასა და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შენარჩუნების პროცესს;

• ოჯახური დავის მედიაცია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სერვისი - მოიცავს ინტერვენციების ფართო სპექტრს. უმეტესწილად ესაა უსაფრთხოების ზომები, რომელთა მეშვეობით მოძალადე პარტნიორის განრიდების შედეგად მსხვერპლს არსებულ საცხოვრებელში დარჩენა შეუძლია. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს შეუძლებელია, ოჯახური ძალადობის მსხვერპლს

შეუძლია ადგილობრივი თვითმმართველობისგან დროებითი საცხოვრებლის მოთხოვნა მდგომარეობის გამოსწორებამდე. ამ სერვისის მიზანი ასევე ოჯახური ძალადობის მსხვერპლისათვის გრძევადიანი საცხოვრებლის მოძიებაში მხარდაჭერა და ახალი საცხოვრებლით უზრუნველყოფაა. სერვისის ადმინისტრირება, ხშირად, ქალთა დახმარების, რჩევების მიცემისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ხორციელდება;

• იჯარის უზრუნველყოფა- გულისხმობს მოწყვლადი მოიჯარის დახმარებას არსებული საიჯარო ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით. ამ სერვისით გათვალისწინებული ღონისძიებები იცვლება ბენეფიციარის საჭიროების მასშტაბის შესაბამისად. ის შეიძლება მოიცავდეს მოქალაქის ინფორმირებას ფინანსური დახმარებისა და სოციალური სერვისების მოთხოვნისათვის საჭირო ბიუროკრატიული პროცედურების სწორად წარმართვის მიზნით, შემოსავლების, ხარჯების და შესაძლო სოციალური დახმარების მოცულობის ანალიზს მოქალაქის სტაბილური ფინანსური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ასევე საჭიროების შემთხვევაში, საცხოვრებლის ავეჯით მოწყობას, ჯანმრთელობისა და სხვა სერვისების მიწოდებას. ამ სერვისის ადმინისტრირება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურისა და ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ოფიცრის მიერ;[10]

• უსახლკარობის წინააღმდეგ არსებული სხვა სპეციალური ზომები მიზნობრივი ინდივიდუალური ინტერვენციები ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ინტეგრაციისათვის საჭირო სოციალური აქტივობების სახით. ზემოთ ჩამოთვლილი სერვისები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ადმინისტრირდება, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსური დახმარებით არსებობს. (Busch-Geertsema & Fitzpatrick 2007, Pleace & Knutagård, 2016, Pleace, 2017).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერვისი უმეტესად ხორციელდება მეორადი პრევენციის დონეზე და მათი მიზანი უსახლკარობის თავიდან აცილებაა. თუმცა ინტენსიური საბინაო კონსულტაცია, ქირის დეპოზიტის გადახდის სერვისი, იჯარის თვითუზრუნველყოფა ან უსახლკარობის წინააღმდეგ არსებული სხვა სპეციალური ზომები, განმეორებითი უსახლკარობის თავიდან ასაცილებლად უსახლკარობის გამოცდილების მქონე ჯგუფების მიმართაც აქტიურად გამოიყენება.

უსახლკარობის თავიდან ასაცილებლად არანაკლებ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა პირველადი პრევენციის სერვისები. მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სისტემის არსებობა, შრომის ბაზრის იმგვარად რეგულაცია, რომ დასაქმებულმა მოქალაქემ შეძლოს ღირსეული ცხოვრება და საცხოვრისზე მისაწვდომობის გაზრდა ის კრიტიკული ზომებია, რომლებიც უსახლკარობის და, ზოგადად, სიღარიბის პირველად პრევენციას ეფექტურს ხდის. (Stephens & Fitzpatrick, 2007).

3. უსახლკარობის რეაგირებითი სერვისები

უსახლკარობაზე რეაგირების თანამედროვე სტრატეგიები და სერვისები ეფუძნება სათანადო საცხოვრისზე ადამიანის უფლების აღიარებასა და სტაბილური საცხოვრისის გარანტირების კონცეფციას. გარდა ამისა, რეაგირებითი სერვისები სტაბილური საცხოვრებლის გარანტიაზე მიბმული დახმარების სისტემებით უნდა განხორციელდეს (FEANTSA, 2010a, 2019).

უსახლკარობაზე რეაგირების სერვისების ყველაზე გავრცელებული სახე ბენეფიციარის თავშესაფრით უზრუნველყოფაა. თავშესაფარი უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ადრეული სერვისია[11] (Anderson, 1923) თუმცა, თანამედროვე სისტემები მას არ მიიჩნევს უსახლკარობის პრობლემის მოგვარების ეფექტურ გზად, რამდენადაც ამ სერვისში მაღალია უსახლკარო პირთა ინსტიტუციონალიზების რისკი. (Sahlin, 2005). განსაკუთრებული კრიტიკის საგანია დიდი თავშესაფრები და მასობრივი დროებითი საცხოვრისები, რომელთა საჭიროებაც საკუთარი ჭერის არმქონე ადამიანების დიდი რაოდენობით აიხსნებოდა (FEANTSA, 2007). საცხოვრისის პოლიტიკის თანამედროვე მიდგომა გულისხმობს, რომ თავშესაფრები უნდა ჩანაცვლდეს მცირე ზომის დროებითი საცხოვრებლებითა და პირადი ცხოვრებისათვის კომფორტული, იზოლირებული სივრცით (Busch-Geertsema & Sahlin, 2017). მიუხედავად ამისა, დროებითი საცხოვრებლები, თავშესაფრები და მსგავსი რეაგირებითი სერვისები განვითარებული ქვეყნების დიდ ნაწილში კვლავ გვხვდება. „საცხოვრებელი უპირველესად“ მიდგომაზე გადასვლის პარალელურად უსახლკარობის თანამედროვე სტრატეგიები მიმართულია დროებით თავშესაფრებში უსახლკარო პირების მინიმალური დროით მოთავსებაზე და დროებითი საცხოვრებლების რეგულარული რეზიდენციული საცხოვრებლებით ჩანაცვლებაზე (Edgar,2009).

გავრცელებული რეაგირებითი სერვისებია (Edgar, 2009):

• გადაუდებელი დახმარების დაწესებულებები- ივულისხმება თავშესაფრები, რომლებიც კონკრეტულად საკუთარი ჭერის არმქონე ადამიანის გადაუდებელი საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება. შესაძლოა ასეთ თავშესაფარში მოქმედბდეს ამბოლატორიული სერვისი. თავშესაფრების ადმინისტრირება შეიძლება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ან მათ მიერ დაქირავებული სხვა ორგანიზაციის მიერ ხორციელდებოდეს;

• დროებითი საცხოვრებლები- დროებითი ჰოსტელები, ტრანზიციული საცხოვრებლები - რეგულარული საცხოვრებლით დაკმაყოფილებამდე. აქ შესაძლოა მოთავსდეს ოჯახური ძალადობის მსხვერპლი საცხოვრებლის არმქონე ადამიანი, გაეწიოს პირველადი დახმარების მომსახურება რეგულარულ საცხოვრებელში გადასვლამდე;

• არარეზიდენციული სერვისები უსახლკარო ან უსახკლარობის გამოცდილების მქონე ადამიანებისთვის - მოიცავს დღის ცენტრებს, სადაც უსახლკარო ან წარსულში მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანებს შეუძლიათ ინფორმაციისა და საკვების მიღება. ხშირად ადმინისტრირდება და ფინანსდება რელიგიური და საქველმოქმედო დაწესებულებების მიერ;

• სოციალური საცხოვრისები - წარმოადგენს გრძელვადიან საცხოვრებელს, რომლის ქირაც საბაზრო ფასზე დაბალია. ადმინისტრირდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი საბჭოს მიერ;

• საცხოვრების ვაუჩერები - საცხოვრებლის ქირის გადასახდელად ვაუჩერის მიღება და მისი გამოყენება დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს/ადამიანებს შეუძლიათ. შესაბამისი საცხოვრებლის პოვნა ოჯახის პასუხისმგებლობაა. ადმინისტრირდება მუნიციპალური საჯარო საბინაო სააგენტოს მიერ (Housing.gov; Benefits Vouchers Program).

• რეგულარული საცხოვრებლით უზრუნველყოფა - უსახლკარო ადამიანის ან ოჯახის რეგულარული, იზოლირებული საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

რეკომენდაციები პოლიტიკის დაგეგმვისას

უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო სერვისების დაგეგმვისა და ქმედითი წარმართვისათვის მნიშვნელოვანია:

▪ შეიქმნას უსახლკარობასთან ბრძოლის სახელმწიფო ხედვა-სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

▪ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა დაეფუძნოს უსახლკარობის მკაფიო და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დეფინიციასა და უსახლკარობის მიზეზების სიღრმისეულ კვლევასა და ანალიზს. უსახლკარობის განსაზღვრებამ უნდა მოიცვას უსახლკარობის ყველა შესაძლო ფორმა;

▪ უსახლკარობის მიზეზების სიღრმისეული კვლევა და ანალიზი სისტემატურად უნდა ტარდებოდეს;

▪ უსახლკარობის სტრატეგიასა და სერვისების დაგეგმვაში, ასევე მათ განხორციელებაში უნდა მონაწილეობდეს მმართველობის როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი დონე;

▪ უსახლკარობის პრევენცია გათვალისწინებულ უნდა იყოს უსახლკარობის სტრატეგიაში;

▪ უსახლკარობის პრევენციის სერვისები უნდა დაიგეგმოს საერთაშორისო პრაქტიკისა და უსახლკარობის პრევენციის არსებული სისტემების გათვალისწინებით, უსახლკარო პირების შესაბამის საჭიროებებზე მორგების გზით;

▪ უსახლკარობის რეაგირებითი სერვისები გათვალისწინებული უნდა იქნას უსახლკარობის სტრატეგიაში. რეაგირებითი სერვისები უნდა ეფუძნებოდეს უფლებას სათანადო საცხოვრისზე და პასუხობდეს „საცხოვრისი უწინარესად“ პრინციპს;

▪ უსახლკარო ადამიანის მხარდაჭერის სერვისები უნდა გრძელდებოდეს მის სრულ რეინტეგრაციამდე.

გამოყენებული წყაროები

1.კეთილდღეობის გავლენიანი მკვლევრის ესპინ ანდერსონის მოსაზრება (1990, 2007); არსებული ტიპოლოგია, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს განსხვავებული სისტემების არსებობას ევროპის ქვეყნების მიღმა, მით უმეტეს გასათვალისწინებელია, რომ ქვეყნების უმეტესობაში შერეული სოციალური დაცვის სისტემებია. მიუხედავად ამისა, სოციალური დაცვის სისტემის პრინციპების დონეზე განხილვისას მსგავსი ტიპოლოგიის გათვალისწინება ანალიზის გაკეთების კარგ საშუალებას იძლევა.

2. მაგალითისათვის, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამ სისტემის კლასიკური წარმომადგენელ ამერიკის შეერთებულ შტატებს განვითარებული ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალი უთანასწორობის მაჩვენებელი აქვს (Gini - 41.5, 2016). ანალოგიურად, OECD-ის უახლესი წლების მონაცემებით, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებს შორის სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე სწორედ ლიბერალური სისტემის ორ ძირითად წარმომადგენელს - შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს აქვს.

3. ამ სისტემაში მოქმედებს სხვადასხვა პროფესიის შესაბამისი სადაზღვევო ფონდები, სადაც დამსაქმებლები და დასაქმებულები ერთიან შენატანებს აკეთებენ. თითოეული დასაქმებულისათვის შენატანებს სახელმწიფოც ახორციელებს.

4. რადგანაც ისტორიულად მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე ქალთა დასაქმება მინიმალური იყო, აღნიშნულ სერვისებზე მისაწვდომობა ქალებს მხოლოდ მეუღლის ყოლის შემთხვევაში ჰქონდათ. შესაბამისად, ასეთი სისტემები კაცი-მარჩენალის ლოგიკაზეა დაფუძნებული, როდესაც ოჯახის ფინანსურ კეთილდღეობასა და ოჯახის სხვა წევრებისათვის სერვისების არსებობას დასაქმებული მამაკაცი უზრუნველყოფს.

5. მარტოხელა დედები ამგვარ სისტემაში განსაკუთრებით მოწყვლადები არიან, რადგანაც განუვითარებელია დედობასთან გარე შრომის შეთავსების წამახალისებელი სერვისები (Esping-Andersen, 1990, 2002, Esping-Andersen, & Myles, 2007).

6. მაგალითისათვის, გერმანიაში რომელიც ამ სისტემის კლასიკური წარმომადგენელია, ტრადიციულად, საჯარო მოსამსახურეებს განსაკუთრებით მაღალი სოციალური ბენეფიტები აქვს - სახელმწიფო მათ მიმართ ისტორიულად გულუხვი იყო (Esping-Andersen, 1990).

7. დეფამილიარიზების პოლიტიკა - ოჯახის წევრების კეთილდღეობაზე ოჯახის პასუხისმგებლობის გაზიარება სახელმწიფოს მიერ

8. FEANTSA შემდეგნაირად ახასიათებს მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიზნობრიობას:

ა)უსახლკაროთა რაოდენობის დადგენა - საჭიროა გადაუდებელი სერვისების მასშტაბის იდენტიფიცირებისთვის;
ბ)უსახლკაროთა დემოგრაფიული პროფილის შედგენა - საჭიროა შესაბამისი სერვისების დაგეგმვისათვის, რადგან სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები განსხვავდება;
გ)წლიური მოსალოდნელი უსახლკარობის რაოდენობის შეფასება - საჭიროა ტრანზიციული და მხარდაჭერის სერვისების ბენეფიციარების რაოდენობის წინასწარ გასათვლელად;
დ) კომპლექსური ინფორმაციის წარმოება უსახლკარობის პრევენციისათვის - რისკ-ჯგუფების იდენტიფიცირების საფუძველზე, მათზე ადრეული ინფორმაციის შეფასება უსახლკარობის ასაცილებლად.

9. ფინეთში მონაცემთა შეგროვება და ანალიზი 1987 წლიდან დაიწყეს და ამ მონაცემების ანალიზზე დააფუძნეს 2008 წელს დაწყებული სტრატეგია.

10. ბრიტანეთის ადგილობრივ საბჭოებში ამ საკითხზე გამოყოფილი კადრები მუშაობენ -Tenancy Sustainment Officer.

11. თავშესაფარი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან არსებობს.

Anderson, I. (2010). Services for homeless people in Europe: Supporting pathways out of homelessness. Homelessness research in Europe. Festschrift for Bill Edgar and Joe Doherty, 41-63

Anderson, I., Baptista, I., Wolf, J., Edgar, B., Sapounakis, A. and Schoibl, H. (2005b) The Changing Role of Service Provision: Services for Homeless People and Inter- Agency Working (Brussels: FEANTSA).

Aubry, T., Bernad, R., & Greenwood, R. (2018). "A Multi-Country Study of the Fidelity of Housing First Programmes": Introduction. European Journal of Homelessness _ Volume, 12(3).

Benjaminsen, L., Dyb, E., & O'Sullivan, E. (2009). The governance of homelessness in liberal and social democratic welfare regimes: national strategies and models of intervention. European Journal of Homelessness, 3.

Burt R.M (1997). Causes of the Growth of Homelessness During the 1980s, Housing Policy Debate, 2: 169-203

Burt, M. A., Pearson, C., & Montgomery, E. (2005). Strategies for preventing homelessness. Washington, DC: The Urban Institute.

Busch-Geertsema, V., & Fitzpatrick, S. (2008). Effective homelessness prevention? Explaining reductions in homelessness in Germany an

Busch-Geertsema, V., & Sahlin, I. (2007). The role of hostels and temporary accommodation. European Journal of Homelessness _ Volume.

Busch-Geertsema, V., Edgar, W., O'Sullivan, E., & Pleace, N. (2010). Homelessness and homeless policies in Europe: Lessons from research. Brussels: FEANTSA

Culhane, D. P., Metraux, S., & Byrne, T. (2011). A prevention-centered approach to homelessness assistance: A paradigm shift?. Housing Policy Debate, 21(2), 295-315.

Edgar, B. (2009). European review of statistics on homelessness. Brussels: FEANTSA

Esping Anderden G (1990). The Three Worlds of Welfare Capitalism, Princeton University Press;

Esping-Anderson, G. (2002). Towards a post-industrial gender contract. The Future of Work and Social Protection: The Dynamics of Change and the Protection of Workers. P. Auer and B. Gazier. Geneva. International Institute for Labour Studies, 109.

Esping-Anderson, G., & Myles, J. (2007). The Welfare State and Redistribution, unpublished paper.

FEANTSA (2007) Criminalisation of People Who Are Homeless, Homeless in Europe. The Magazine of FEANTSA (2010b). Ending homelessness: A handbook for policy makers.

FEANTSA (2019). The Fourth Overview of Housing Exclusion in Europe 2019 Feantsa summer.

FEANTSA, U. (2005). ETHOS–European Typology on Homelessness and Housing Exclusion.

Fitzpatrick, S., & Stephens, M. (2007). An International review of homelessness and social housing policy. London: Department for Communities and Local Government

გამოყენებული წყაროები

Hopper K, Susser E & Conover S (1985). Economies of Makeshift: Deindustrialization and Homelessness In New York, Urban Anthropology and Studies of Cultural Systems and World Economic Development, 14: 182-229;

Jacques, O., & Noël, A. (2018). The case for welfare state universalism, or the lasting relevance of the paradox of redistribution. Journal of European Social Policy, 28(1), 70-85.

Jäntti, M., & Danziger, S. (2000). Income poverty in advanced countries. Handbook of income distribution, 1, 309-378.

World Economic Forum. "How Finland is tackling homelessness". Apr. 2019. Link: https://www.weforum.org/agenda/2019/04/how-finland-is-tackling-homelessness?utm_source=Facebook%20Videos&utm_medium=Facebook%20Videos&utm_campaign=Facebook%20Video%20Blogs&fbclid=IwAR2935Mb2L4vijOfWJV0t-UIGveY28O4p3dq9-2zPgcFxwmF8xNilYtlQtQ
Housing.gov; Benefits Vouchers Program https://www.benefits.gov/benefit/710

Korpi, W., & Palme, J. (1998). The paradox of redistribution and strategies of equality: Welfare state institutions, inequality, and poverty in the Western countries. American sociological review, 661-687.

Lee, B. A., Tyler, K. A., & Wright, J. D. (2010). The new homelessness revisited. Annual review of sociology, 36, 501-521.

Loopstra R et al (2015). The impact of economic downturns and budget cuts on homelessness claim rates across 323 local authorities in England, 2004-12, Oxford University Press;

McFate, K., Lawson, R., & Wilson, W. J. (Eds.). (1995). Poverty, inequality, and the future of social policy: Western states in the new world order. Russell Sage Foundation.

Lorem ipsum

O'Sullivan, E. (2008). Sustainable solutions to homelessness: The Irish case. European Journal of Homelessness, 2.

Pleace, N. (2017). The Action Plan for Preventing Homelessness in Finland 2016-2019: The Culmination of an Integrated Strategy to End Homelessness?. European Journal of Homelessness.

Pleace, N., & Bretherton, J. (2013). The case for Housing First in the European Union: A critical evaluation of concerns about effectiveness. European Journal of Homelessness, 7(2).

Pleace, N., Knutagård, M., Culhane, D. P., & Granfelt, R. (2016). The Strategic Response to Homelessness in Finland: Exploring Innovation and Coordination within a National Plan to Reduce and Prevent Homelessness. Exploring effective systems responses to homelessness, 426-442.
Sahlin, I. (2005) The Staircase of Transition: Survival through Failure, Innovation 18(2), pp.115–35

Shinn, M., Baumohl, J., & Hopper, K. (2001). The prevention of homelessness revisited. Analyses of Social Issues and Public Policy, 1(1), 95-127.

Smeeding, T. M. (2005). Public policy, economic inequality, and poverty: The United States in comparative perspective. Social Science Quarterly, 86, 955-983.

Stephens, M., & Fitzpatrick, S. (2007). Welfare regimes, housing systems and homelessness: how are they linked. European Journal of Homelessness, 1(1), 201-211.

Stephens, M., Fitzpatrick, S., Elsinga, M., van Steen, G., & Chzhen, Y. (2010). Study on housing exclusion: Welfare policies, housing provision and labor markets. Brussels: European Commission, Directorate-General for Employment, Social Affairs and Equal Opportunities

Tainio, H., & Fredriksson, P. (2009). The Finnish homelessness strategy: from a 'staircase'model to a 'housing first'approach to tackling long-term homelessness. European Journal of Homelessness, 3.

Torgersen U (1987). Housing: the Wobbly Pillar under the Welfare State, Scandinavian Housing and Planning Research, 4: 116-126.

Tsemberis, S. (2010). Housing First: ending homelessness, promoting recovery and reducing costs. How to house the homeless, 37-56.

Von Mahs, J. (2001). Globalization, welfare state restructuring, and urban homelessness in Germany and the United States. Urban Geography, 22(5), 457-481.